



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 03.12.2019 წლის №106/19¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნათია ადუაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები:

მომჩივანსა და ადვოკატს შორის, შეთანხმების საფუძველზე, საადვოკატო მომსახურებად განისაზღვრა სარჩელის შედგენა და სასამართლოს პირველ სხდომაზე წარმომადგენლობა. მომჩივანის განმარტებით ადვოკატის მიერ მომზადებული სარჩელი იყო სამართლებრივად გაუმართავი და იურიდიულად დაუსაბუთებელი; ადვოკატმა არ მოამზადა შესაგებელი მომჩივანის წინააღმდეგ შეტანილ შეგებებულ სარჩელზე; ადვოკატმა პროცესზე განაცხადა, რომ მხარს არ უჭერს, მომჩივანის მიერ დაყენებულ, მოსამართლის აცილების შუამდგომლობას; ამასთან, ადვოკატი მუშაობს მომჩივანის მოპასუხის წარმომადგენელთან ერთად, ერთ, ოფისში და ოფისში მისვლისას მათ საუბარს, ისიც ესწრებოდა. ადვოკატი საჩივარში წარმოდგენილ პრეტენზიებს უარყოფს და განმარტავს, რომ შეგებებულ სარჩელზე შესაგებლის მომზადება მის მოვალეობებში არ შედიოდა; ადვოკატის განმარტებით, როდესაც ოფისში საჩივრის ავტორთან ერთად იყო, მათ შორის საქმეზე კომუნიკაცია არ შემდგარა.

პროცესუალური ისტორია

მომჩივანმა, ადვოკატის დისციპლინირების მოთხოვნით, მომართა ეთიკის კომისიას, თავის მხრივ, ადვოკატმა წარმოადგინა ახსნა-განმარტება.

სამართლებრივი შეფასება

(1) შესაფასებელია, ადვოკატმა, დაარღვია, თუ არა კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულება.

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ კანონის მუხლი 5(ა)).

ადვოკატი ვალდებულია განახორციელოს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა (ეთიკის კოდექსის მუხლი 8.5).

კლიენტის ინტერესების დაცვის დროს ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა და უზრუნველყოს კლიენტის სათანადო წესით დაცვა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ საადვოკატო მომსახურებად განისაზღვრა სარჩელის მომზადება და პირველი ინსტანციის სასამართლოში, პირველ სხდომაზე, წარმომადგენლობა. მხარეებს უფლება აქვთ ხელშეკრულებით, თავისუფლად, თავად განსაზღვრონ ვალდებულებების ფარგლები, ამ შემთხვევაში კი მხარეთა შეთანხმება არ მოიცავდა, ადვოკატის მიერ, შეგებებულ სარჩელზე შესაგებლის მომზადების ვალდებულებას. ამასთან, ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატების მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და საპროცესო მოქმედებების ხარისხს ვერ შეაფასებს. ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით, თავად განსაზღვრავს დაცვის სტრატეგიას, სასამართლოს წინაშე წარსადგენი საპროცესო დოკუმენტების შინაარსს, მათი გამოყენების მიზანს და საფუძვლიანობას. შესაბამისად სარჩელის სამართლებრივი დასაბუთებულობის შეფასება ეთიკის კომისიის კომპეტენციას სცდება. რაც შეეხება საჩივრის ავტორის არგუმენტს მოსამართლის აცილების საკითხთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა დააფიქსირა პირადი აზრი, ამასთანავე მან მხარი დაუჭირა აცილების განცხადებას. ის სასამართლო პროცესზე არ გამოსულა თავისი კლიენტის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე,

¹ <https://gba.ge/pdf/5e5f595d2d848.pdf/106.19%2003.12.2019%20ar%20agdavra.pdf>

ადვოკატის მიერ განხორციელებული არცერთი მოქმედება არ მიუთითებს კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევაზე.

(2) საჩივრის მიხედვით, შესაფასებელია აგრეთვე, ადვოკატმა დაარღვია, თუ არა კონფიდენციალობის ვალდებულება. *ადვოკატი ვალდებულია დაიცვას ნებისმიერი ინფრომაციის საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას* (ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 5(დ) და ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1) კონფიდენციალობის ვალდებულება ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვას გულისხმობს. ადვოკატის განმარტებით, მომჩივანი ოფისში მორიგების მიზნებისთვის და დოკუმენტის გადასაცემად მივიდა, თუმცა მათი შეხვედრის დროს მომჩივანის მოპასუხის წარმომადგენლის თანდასწრებით, საქმეზე საუბარი არ შემდგარა. განსხვავებული განმარტება გააკეთა საჩივრის ავტორმა, თუმცა ვინაიდან მხარეთა ურთიერთსაპირისპირო განმარტებების გარდა საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის თანდასწრებით ადვოკატისა და საჩივრის ავტორის საუბრის ფაქტს, არ დასტურდება კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევა.

დასკვნა

ვინაიდან სარჩელის დასაბუთებულობისა და საფუძვლიანობის შემოწმება ეთიკის კომისიის კომპეტენციას სცდება; ასევე შესაგებლის მომზადებას არ ითვალისწინებდა მხარეთა შეთანხმება; მომსამართლის აცილების განცხადებისას ადვოკატმა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების მიუხედავად, იმოქმედა კლიენტის ინტერესის შესაბამისად და არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მომჩივანსა და ადვოკატს შორის, საქმეზე საუბარი, მოხდა მომჩივანის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის თანდასწრებით, არ არსებობს დისციპლინირებისთვის, კანონით გათვალისწინებული, არცერთი წინაპირობა, ამიტომ ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნა არ უნდა აღიძრას.